საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №12(242) 2021 წ. 16-30 ივნისი ფასი 1 ლარი

„ალოობა-2021“
ქერს მკიან იზრისპირეთში
„მომკელს ეძახის თავთავი“

ბუნებრივი კლიმატური პირობების გამო ალოობა თავდაპირველად შუაგულ კახეთიდან იწყება და შემდგომ ნელ-ნელა ჩვენსკენ – გარეკახეთისკენ ინაცვლებს. კახეთში ალოობის წარმატებულად და დროულად დამთავრება საწინდარია ჩვენს მუნიციპალიტეტში თავთავიანების მოსავლის დროულად აღებისაც, რადგან აქ არსებული კომბაინები მთლიანად კახეთში არიან ხოლმე გადართული მარცვლეულის აღებაზე და ვიდრე იქ მოსავლის აღებას არ დაამთავრებენ, უკან ძნელად ბრუნდებიან. ასეა სადღეისოდაც, ამიტომ არის, რომ 15 ივნისიდან მოყოლებული, როცა მუნიციპალიტეტში „ალოობა-2021“-მა აიღო სტარტი, მხოლოდ 4-5 კომბაინი აღმოჩნდა ადგილზე. ძირითადად მიმდინარეობს საშემოდგომო ქერის აღება, რომელიც ხორბალთან შედარებით ცოტა ადრე შემოდის.

ქერის მოსავლის აღება მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთის ზონის სოფლებშია გაჩაღებული. წლის მოსავალს იღებენ შიბლიანის, მზისგულის, ყანდაურის, ბადიაურის, ეთნიკურად აზერბაიჯანული სოფლების, კაკაბეთის, ორივე ჩაილურის და მანავის მინდვრის მშრომელები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, სულ ალოობის დაწყებიდან 23 ივნისისათვის მუნიციპალიტეტში ქერი აღებულია 400-ზე მეტ ჰექტარზე და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 3-3,5 ტონის ფარგლებში მერყეობს, თუმცა, ზოგიერთი სოფლის მიწათმოქმედები უფრო მეტ მოსავალს – 4-5 ტონა მოსავალსაც იღებენ. ყველაზე დაბალმოსავლიანი ყანებიდან კი ჰექტარზე ერთ ბუნკერ ქერს იღებენ – რაც ჰექტარზე 1.8-2 ტონას უდრის.

მუნიციპლიტეტის მასშტაბით ქერი ამ დროისათვის ყველგან შემოსულია და ასაღებია, მაგრამ კომბაინების უკმარისობის გამო მათი აღება მასიურად ჯერ არ დაწყებულა. განსაკუთრებით უჭირთ მცირეფართობიანი ყანების პატრონებს, რადგან კომბაინერები უფრო დიდ – 10 და მეტ ჰექტრიან ფართობებს არჩევენ ასაღებად, წვრილ-წვრილი ფართობების აღებას კი დიდი ძალისხმევა და დრო სჭიდება.

ერთი სიტყვით, ქერის მოსავალი მუნიციპალიტეტში ყველგან ასაღებია და იმ ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს „მომკელს ეძახის თავთავი“, საჭიროა, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე გამოინახოს დამატებითი კომბაინები მარცვლეულის ასაღებად, რათა ჩვენს მიწათმოქმედებს არ გაუცუდდეთ და წყალში არ ჩაეყაროთ კარს მომდგარი ქერის მოსავალი, რასაც მალე ხორბლის აღებაც უნდა მოჰყვეს.

გივი დაბახიშვილი

საჩუქარი
გაიდაბეცათ ფფმ ვირეგს

14 ივნისს, შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის ინიციატივითა და საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მხარდაჭერით, საგარეჯო-დედოფლისწყარო, გურჯაანი-სიღნაღის ***მაჟორიტარმა დეპუტატმა* დავით სონღულაშვილმა**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, წინასწარშერჩეული სტანდარტებისა და ზომის გათვალისწინებით, ინვალიდის ეტლები გადასცა.

გავუფრთხილდეთ გარემოს
ზაფხულია, დავიცვათ უსაფრთხოების წესები

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, კახეთში, უჯარმის ციხის მიმდებარედ, ტურისტულად აქტიურ ტერიტორიაზე, დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციაში მონაწილეობა საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა და მოხალისეებმა მიიღეს. სამოქალაქო აქტივისტებმა, კიდევ ერთხელ შეახსენეს საზოგადოებას, ტყეში გადაადგილებისას, გაუფრთხილდნენ გარემოს, ნუ დააბინძურებენ ნარჩენებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიცვან უსაფრთხოების წესები.

სტატისტიკის მიხედვით, ტყეში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ადამიანთა დაუდევრობაა, რამაც შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

ზაფხული, ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო, განსაკურებით ხანძარსაშიში პერიოდია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოუწოდებს მოსახლეობას, დაიცვან ტყეში უსაფრთხოების წესები და დაემორჩილონ იმ აკრძალვებს, რომელიც ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების მოწყობისას და კოცონის დანთებისას ვრცელდება.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

15 ივნისი, 2021 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე* ალექსი გილაშვილი** უძღვებოდა.

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა თითოეული სოფლის პრობლემებზე გააკეთეს ინფორმაცია. აქვე დაისახა პრობლემების გადაჭრის, მოგვარების გზები. კონკრეტულად, შპს „საგარეჯოს“ დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს და აიპ „საგარეჯოს სასმელი წყლების რეგულაციისა და წყლის ხარისხის დაცვის ცენტრის“ დირექტორს ოთარ ბუზარიაშვილს მიეცათ პრობლემების მოგვარების სამუშაო გრაფიკი.

თათბირზე მანავის თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის არჩილ ნემსიაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მანავის ციხესთან მისასვლიელი გზის ის მონაკვეთი, რომელიც დასახლებულია, საჭიროებს გარე განათების მოწყობას, ამასთან, უახლოეს ხანში გათვალისწინებული უნდა იყოს მანავის ციხის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის ყუთების დადგმა. სოფლის რამდენიმე უბანში ასეთ ყუთებს ძირები აღარ აქვთ.

ლამბალოს თემში მერის წარმომადგენელმა ალახიარ აბდულაევმა ლამბალოს ერთ-ერთი უბნისათვის გარე განათების უკვე მოწყობის და ქვემო ლამბალოს მოსახლეობის სასმელი წყლის პრობლემებზე ისაუბრა.

ყანდაურის თემში მერის წარმომადგენელმა ვალერი ცანკაშვილმა ყანდაურის მოსახლეობის მრავალწლიანი პრობლემა – სასმელი წყლის დეფიციტი კვლავაც დღის წესრიგში დააყენა.

ასეთივე პრობლემაზე ისაუბრეს მერის წარმომადგენელმა სოფელ ვერხვიანში ნოდარ ბეგიაშვილმა, იორმუღანლოს თემში – ნათიკ რასულოვმა (სოფელ ქეშალოში სასმელი წყალი არ არის), გიორგიწმინდის თემში – გიორგი ჭიაბერაშვილმა (რომელმაც აღნიშნა სოფელ გიორგიწმინდის ე.წ. „ფერდოს უბნის“ მოსახლეობის პრობლემა).უდაბნოში მერის წარმომადგენელმა ერეკლე გვიდანმა სოფელში არსებული საკანალიზაციო ქსელის გაწმენდის აუცილებლობაზე ისაუბრა.

თოხლიაურში მერის წარმომადგენელმა მზია ჭყრუნიშვილმა გააკეთა ინფორმაცია სოფელში ელექტროგადამცემი ხაზების ავარიულ მდგომარეობაზე.

მერის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი პრობლემების მოგვარების გზებზე ისაუბრეს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა ალექსი გილაშვილმა და გიორგი ლალიაშვილმა.

როგორც ითქვა, სოფლებში ყანდაურასა და ვერხვიანში მოსახლეობისათვის სასმელი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად გამოიყოფა წყლის ავტოცისტერნა. იმ სოფლებში, რომლებიც საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ ყუთებს ითხოვენ, უახლოეს ხანში შემოტანილი ყუთები გადანაწილდება, სოფლებში სტიქიისაგან დაზიანებული გზები მოწესრიგდება ოპტიმალურ ვადებში. იქ, სადაც აუცილებლობა მოითხოვს გარეგანათების დამატებას, გამოინახება საამისოდ საჭირო სახსრები. მომავალი თათბირისათვის მოწვეულ იქნება „პროენერგოჯორჯიას“ საგარეჯოს ფილიალის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის სოფლებში ამ სფეროში შექმნილი პრობლემების გასაცნობად და კითხვებზე პასუხის გასაცემად.

ლამბალოს თემი

მერის *რწმუნებული ლამბალოს თემში* ალახიარ აბდულაევი

დაიბადა 1954 წელს

განათლება – აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, ინჟინერ-მექანიკოსი 1973-1978წწ.

სამუშაო გამოცდილება – ინჟინერ-მექანიკოსი სოფ. სათაფლეს კოლმეურნეობაში – 1981წ.

მასწავლებელი, ოსტატი – მარტყოფის №115 პროფტექნიკუმის ლამბალოს ფილიალში – 1981-1987წწ;

მთავარი ინჟინერი-მექანიკოსი, ლამბალოს მეცხოველეობის მეურნეობაში 1987-1994წწ;

მეურნეობის დირექტორი – სოფ. ლამბალოს მეცხოველეობის მეურნეობაში – 1994-2000წწ;

სოფლის გამგებელი ლამბალოში – 2000-2006წწ;

რწმუნებული სოფელ ლამბალოში 2010-2012წწ;

მერის წარმომადგენელი ლამბალოს თემში 2020წ-დან დღემდე.

ლამბალოს თემი

სოფლები:

ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო.

ზემო ლამბალო

მოსახლეობა – 4402 კაცი

კომლი – 804

ქვემო ლამბალო

მოსახლეობა – 4532 კაცი

კომლი 808

მიწის ფართობი

სულ – 2098 ჰა

აქედან:

კერძო – 314ჰა

სახელმწიფო – 1784ჰა

სასოფლო-სამეურნეო მიწები

სულ – 1752 ჰა

აქედან:

კერძო – 314ჰა

სახელმწიფო – 1488ჰა

სახნავი

სულ – 979ჰა

კერძო – 974ჰა

საძოვარი

სულ – 598ჰა

აქედან

სახელმწიფო – 598ჰა

მრავალწლიანი ნარგავები – 175ჰა

აქედან:

კერძო – 175ჰა

სასმელი წყალი

ზემო ლამბალო – ერთობ მცირე ნაწილი ვერ იღებს, სოფლის 80-90%კი მარაგდება.

ქვ. ლამბალო – ჭაბურღილიდან იღებენ, მაგრამ არ არის ახლა

გარე განათება

ქვემო ლამბალო – სოფელში გარე განათების 39 ნათურაა დამონტაჟებული;

ზემო ლამბალო – აქ გარე განათების 35 ნათურაა დაყენებული;

ზემო ლამბალოსა და ქვემო ლამბალოში მიმდინარე წელს გარე განათებაზე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 20 000-20000 ლარია იყო გამოყოფილი

სარწყავი სისტემა

სარწყავი წყლის არხი, რომელიც აქაურ და არა მარტო ლამბალოს თემის მოსახლეობას ემსახურება, 25 წელზე მეტი უფუნქციოდ იყო, დამტვრეული იყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, ან საერთოდ აღარ არსებობდა. სოფლებს სარწყავი წყალი რწყვის სეზონზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად ესაჭიროება.

ამჟამად შექმნილია პროექტი სარწყავი წყლის რეაბილიტაციისათვის. მილები ჩამოტანილია, მალე დაიწყება სარწყავი არხის რეაბილიტაცია.

გზები

ცენტრალური გზა მოასფალტებულია, რაც შეეხება სასოფლო გზებს, აქაც მოხრეშილია.

ჯანდაცვა

ლამბალოს თემის მოსახლეობის ჯანმრთელობას იორმუღანლოს საექიმო ამბულატორია ემსახურება.

გაზიფიცირება – გაზიფიცირებულია თემის სოფლების მოსახლეობის 90%

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

ლამბალოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2 ალტერნატიული ჯგუფია.

განათლება

ლამბალოს საჯარო სკოლა (მენეჯერი დავით როსტომაშვილი) 2013 წლიდან ახალ შენობაშია. შენობა გათვლილია 1000 მოსწავლეზე. შენობის 8 ოთახშია განლაგებული კლას-ლაბორატორიები. საკლასო ოთახი სულ 46-ია. შენობა სამსართულიანია და შედგება 2 კორპუსისგან. ერთი სასწავლოა, მეორეში კი განთავსებულია სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. შენობაში ფუნქციონირებს გათბობის სისტემა, რომელიც ბუნებრივ აირზეა. წესრიგშია მოყვანილი სველი წერტილები.

სკოლაში დღეისათვის 1250 მოსწავლეა. მათ სწავლა-აღზრდას 95 პედაგოგი ემსახურება. სწავლა ორ სექტორზეა – ქართულზე და აზერბაიჯანულზე. ქართულ სექტორზე 25 პედაგოგი 260 მოსწავლის სწავლას ემსახურება. დაწყებითი საფეხურის I კლასი 170 მოსწავლემ დაამთავრა, სკოლის კურსი კი – 47-მა ახალგაზრდამ.

ტრადიცია გრძელდება

კაკაბეთის ქართული ჭიდაობის არენაზე

13 ივნისს კაკაბეთის ქართული ჭიდაობის დია არენაზე, ეს უკვე მერამდენედ, ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ხუთგზის და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლევან თედიაშვილისა და ჭიდაობა სამბოში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ დირექტორის უშანგი კუზანაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი, რომელიც ზაფხულის ამ პერიოდში იმართება ხოლმე. ასპარეზობის ინიციატორები და ორგანიზატორები ამ ტურნირის დამაარსებლები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია და ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“ გახლდნენ. ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის გელა ბერუაშვილის დამტკიცებული ტურნირის დებულების თანახმად, ტურნირში დაიშვებოდნენ თბილისის, აჭარის, ახმეტის, ახალგორის, ახალციხის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, გარდაბნის, რუსთავის, კასპის, გორის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის, საჩხერის, ქარელის თიანეთის, დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, ქუთაისის, ტყიბულის, თერჯოლას, ჭიათურის, ლანჩხუთის, ცაგერის, თელავის, ჩოხატაურის, გურიის, სიღნაღის, წყალტუბოს, ყაზბეგის, სვანეთის, ლენტეხის მუნიციპალიტეტების მოჭიდავეთა გუნდები (გუნდში არაუმეტეს 15 კაცისა). აქედან გამომდინარე, შეჯიბრებას არ მოჰკლებია არც მონაწილენი და არც მათი გულშემატკივრები, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ შეჯიბრებაზე ჩემპიონებისა და საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეებისათვის დაწესებული იყო ფულადი პრიზები და ჯილდოები – ჭედილა და ზაქი, მძიმე წონაში და აბსოლუტურ ფალავნობაში გამარჯვებული ფალავნობისათვის.



ამ ჯილდოების მოსაპოვებლად მოჭიდავეები ერთმანეთს ხუთ წონით კატეგორიაში – 60, 70, 80, 90 და 90+ კილოგრამ წონით კატეგორიებში ეპაექრებოდნენ.

აღნიშნულ ასპარეზობაში სხვა მუნიციპალიტეტების ფალავნებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩვენი მოჭიდავეებიც. მათგან 60 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ჩვენმა მანაველმა თანამემამულემ, სხვადასხვა ასაკში ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში ევროპის, მსოფლიო, საერთაშორისო და რესპუბლიკური ასპარეზობების ჩემპიონმა და პრიზიორმა **ირაკლი კუპატაძემ,** რომელმაც ამასწინათ, „დიდგორობის“ სახალხო დღესასწაულზეც შეძლო ჩემპიონის წოდების მოპოვება ქართულ ჭიდაობაში იგივე წონაში. ამ წარმატებისათვის მას გადაეცა შესაბამისი ფულადი პრემია და I ხარისხის დიპლომი.

რაც შეეხება მთავარ ჯილდოებს ჭედილას და ზაქს – მისი მფლობელები გახდნენ 90 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული ***გიორგი პაპუნაშვილი*** (ჭედილა) და საქართველოს მოქმედი საჩხერელი ფალავანი ბუდაძე. (90+).

ლევან თედიაშვილისა და უშანგი კუზანაშვილის სახელობის ასპარეზობას ესწრებოდნენ ***ცნობილი ქართველი ფალავნები, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“*** წარმომადგენლები, ***საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე*** **სოლომონ პავლიაშვილი,** ***კახეთის გუბერნატორი*** **ირაკლი შიოშვილი,** ქართული ჭიდაობის გარეჯელი თუ სხვა რეგიონების გულშემატკივრები.

გივი დაბახიშვილი

საინფორმაციო შეხვედრა

მსოფლიო ბანკის პროექტი

ფერმერთათვის წყლის მიღება და სამართლიანი განაწილება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში მსოფლიო ბანკის ფინანსირებადი პროექტის ფარგლებში, ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე -გიორგი ლალიაშვილი, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და მელიორაციის სამსახურის ადგილობრივი სერვისცენტრის ხელმძღვანელი*** - **გვანცა დარისპანაშვილი** ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა დამსწრეებს მიმდინარე პროექტის შესახებ ინფორმაცია გააცნეს და სამუშაო ჯგუფებთან მორიგი შეხვედრები დაგეგმეს.

– 2019-2020 წლებში, მომზადდა ამავე სისტემის (მარჯვენა მაგისტრალური არხი) მომსახურების ტერიტორიის შიდა-სამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის დეტალური პროექტი.

პროექტის მომზადების პერიოდში, მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ჯგუფის ხელშეწყობით, საზოგადოებრივ საწყისებზე, უსასყიდლოდ და საკუთარი ინიციატივის საფუძველზე განხორციელდა ფერმერთა 3 საინიციატივო ჯგუფის ფორმირება საპროექტო არეალის ფარგლებში, მარჯვენა მაგისტრალური არხის გამანაწილებლების g1-g33 ზონაში (აქტიური, დაინტერესებული პირები, რომლებმაც ინტენსიური მონაწილეობა მიიღეს ინტერაქტიულ საპროექტო კონსულტაციებში და პრეზენტაციებში.

ამჟამად, სწორედ ზემოაღნიშნული პროექტის მიხედვით, მიმდინარეობს შიდა-სამეურნეო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები, იქ, სადაც მდებარეობს ბენეფიციართა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და კარმიდამოები.

ქვეყანაში შედარებით დასტაბილირებული კოვიდ სიტუაციის გათვალისწინებით, საჭირო შეიქმნა ფერმერთა საინიციატივო ჯგუფებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის აღდგენა.

ამ კონტექსტში, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლების ჩართულობა, რათა პირველ რიგში, ისინი თავად იყვნენ ინფორმირებული მიმდინარე ღონისძიებების შესახებ და ამასთან, პროექტში ჩაბმულ პარტნიორებთან ერთად, გამოხატონ მხარდაჭერა ფერმერთა ცნობიერების ამაღლებისა და გათვიცნობიერების აქტივობების ორგანიზებისა და მობილიზაციის საქმეში.

კერძოდ, საჭიროა, რომ ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს პროექტის ჯგუფების/პარტნიორების საქმიანობას, რათა ეტაპობრივად განხორციელდეს:

- კომუნიკაციის აღდგენა გასულ წლებში ფორმირებულ ფერმერთა საინიციატივო ჯგუფებთან;
- საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მათი შემადგენლობის გადახალისება-შევსება ახალი, დაინტერესებული, აქტიური პირებისაგან/ბენეფიციარებისაგან.
- მათი მეშვეობით გაირკვეს და გაანალიზდეს, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ბენეფიციარებს/ფერმერებს მიმდინარე სამშენებლო ღონისძიებებთან, რომლის შედეგებიც მათ სასოფლო-სამეურნეო აქტივობაზე პოზიტიურად უნდა აისახოს და ა.შ.
- ამ მიზნით, მოეწყოს საინიციატივო ჯგუფების სამუშაო შეხვედრები მშენებელ-კონტრაქტორთან, ზედამხედველთან და ინტერაქტიულ გარემოში განხორციელდეს ბენეფიციართა შეკითხვების, მათ მიერ დასმული მნიშვნელოვანი ტექნიკური დეტალების განხილვა და დაზუსტება საინჟინრო გადაწყვეტილებების შესაძლებლობის ფარგლებში.
- სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად დაისვას საკითხები თუ რა ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება შეიძლება ეტაპობრივად პროექტის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შპს „საქართველოს მელიორაციის“ მხრიდან, ფერმერების წყლის მიღებისა და სამართლიანი განაწილების შესახებ, წყალსარგებლობის უფრო ეფექტურად მართვისა და ზოგადად, მათი ფუნქციონირების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ეს გახლდათ კონკრეტული შეხვედრის მიზანი, რასაც უნდა მოჰყვეს მომდევნო შეხვედრები უკვე, ადმინისტრაციულ ერთეულებში, ფერმერების საინიციატივო ჯგუფებისა და პროექტის ყველა პარტნიორის მონაწილეობით, რომლის მიზნობრიობაც ზემოთ იქნა აღნიშნული.

ქეთი გრატიაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრეს-სპიკერი

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

აქ უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა და მომავალშიც გაკეთდება

***საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვლავ აღსაზრდელთა ჟრიამულია. ისინი 30 ივნისს დაემშვიდობებიან მშობლიურ კედლებს, მათგან ზოგი საჯარო სკოლის პირველი კლასის კარებს შეხსნის გულისფანცქალით, უმრავლესობა კვლავ დაუბრუნდება აღმზრდელთა მიერ რუდუნებით, სიყვარულით შექმნილ გარემოს, ისევ დაუბრუნდებიან თავიანთ ბავშვურ ლამაზ სამყაროს ზღაპრების გმირებს, მოემზადებიან „დედა ენასთან“, მათემატიკურ გამოცანებთან შესახვედრად.. ახლა კი, როცა აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორთან ქ-ნ **ელზა ბილაშვილთან** ეს ინტერვიუ იწერება (17 ივნისი) ჩვენი ქვეყნის მომავალი გაფართოებული თვალებით შესცქერის მოამაგე აღმზრდელ-პედაგოგებს და ცდილობს თითოეული სიტყვა არ გამორჩეს, კარგად დაიმახსოვროს, მერე კარგად გაერთოს და გარეთ რა ხდება, აღარც აინტერესებს. ისიც კარგად ნახეს, როგორ გარემონტდა, განახლდა მათი საბავშვო ბაღის შენობები, მოწესრიგდა სველი წერტილები და სამომავლო სასიკეთო საკეთებელზე საუბარი რომაა ისიც იციან, რას გამოაპარებთ მათ მახვილ თვალს.*

– ქ-ნო ელზა, ჩვენი საუბარი ცოტა შორიდან დავიწყოთ, რადგან ბოლო წლებია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შენობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა მიმდინარეობს და ჩვენდა სასიხარულოდ, მომავალშიც გაგრძელდება, რას იტყვით, 2020-2021 წელს რამდენმა დაწესებულებამ დაიწყო მუშაობა?

– 2020-2021 სააღმზრდელო წელს 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ დაიწყო ფუნქციონირება და ლამბალოს ალტერნატიულმა ჯგუფმა.

– მათგან ახლად გარემონტებული და რეაბილიტირებული რომელი დაწესებულება იყო კონკრეტულად და რა გაკეთდა?

– უჯარმისა და პატარძეულის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარეობდა სრული რეაბილიტაცია, რის გამოც ამ ბაღებმა მუშაობა სასწავლო წლის პირველივე დღეებიდან ვერ დაიწყეს.

გარდა ამ დაწესებულებებისა, მუშაობა დროებით შეჩერებული იყო დუზაგრამის, ყანდაურის და ხაშმის ბაღებში, რადგან მიმდინარეობდა სველი წერტილების რეაბილიტაცია.

ახალი სასწავლო წელი ახლადგარემონტებულ შენობაში დაიწყეს კაკაბეთის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელებმა.

ამჟამად მიმდინარეობს საგარეჯოს №2 ბაღის სრული რეაბილიტაცია.

– რამდენი აღსაზრდელი იყო გასული წლის (მართალია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ოქტომბრიდან განახლდა) და სასწავლო წლის დასასრულისათვის რამდენია?

– მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო წელს სულ დარეგისტრირებულია 1500 ბავშვი, მაგრამ პანდემიის გამო მშობლები ფრთხილობენ, 12 ოქტომბერს, როდესაც ბაღებმა ფუნქციონირება განაახლეს, მხოლოდ 700 ბავშვი გამოცხადდა, ეს რაოდენობა ზამთრის პერიოდში თანდათან შემცირდა და ნოემბრის დასაწყიში მხოლოდ 250-300 აღსაზრდელი გვყავდა. ამის გამო მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე 20 ნოემბერს მუშაობა შეჩერდა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მუშაობა განაახლა 2021 წლის 1 მარტს და დამთავრდება 30 ივნისს. ამ ხნის განმავლობაში სკოლამდელ დაწესებულებებში ყოველდღიურად საშუალოდ 650 ბავშვია.

– რამდენი აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, ფსიქოლოგი, მედდა ემსახურება აღსაზრდელთა აღზრდა-განათლებას?

– საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ემსახურება 65 აღმზრდელი, 64 აღმზრდელის თანაშემწე, 13 ფსიქოლოგი, 12 ლოგოპედი, 5 მეთოდისტი, 28 მუსიკის მასწავლებელი.

– ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონში შეწყდა სასწავლო პროცესი პანდემიის გამო, ჩვენთან როდის?

– როგორც ყველა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შეწყდა 2020 წლის 1 ნოემბერს, განახლდა 2021 წლის 1 მარტს და დამთავრდება 2021 წლის 30 ივნისს.

– როგორი იყო მშობელთა დამოკიდებულება პანდემიისადმი და როგორია ახლა (იცავენ თუ არა მშობლები იმ რეგულაციებს, რომელიც დაწესებულია აღსაზრდელებისათვის?

– პანდემიის გამოცხადების დღიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მკაცრად ასრულებენ ყველა დადგენილ რეგულაციას, რისთვისაც მომარაგებულია ბაღები ყველა სახის საჭირო ინვენტარით და სადეზინფექციო საშუალებებით. მშობლებიც გაგებით ეკიდებიან არსებულ ვითარებას და მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ დაწესებულებებს რეგულაციების დაცვაში.

– ჩატარდა თუ არა შენობების სადეზინფექციო სამუშაოები?

– ყველა ბაღში გაკეთდა და სისტემატურად ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები რეგულაციაში მითითებული წესების შესაბამისად.

– იყო თუ არა შემთხვევები აღსაზრდელთა ტემპერატურის აწევის ან გამოვლინდა თუ არა სხვა რაიმე სიმპტომი გრიპის ან საერთოდ, გაციების?

– სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ყოფილა შემთხვევა, როცა ბავშვს ტემპერატურა ჰქონია. ის სასწრაფოდ გადაჰყავთ საიზოლაციო ოთახში და იძახებენ მშობელს, რომელსაც ბავშვი აუცილებლად მიჰყავდა ტესტირებაზე.

პანდემიის მიმდინარეობის განმავლობაში მხოლოდ 1 ბავშვი იყო ვირუსით ინფიცირებული სოფ. ყანდაურაში, რის გამოც საბავშვო ბაღი 12 დღის განმავლობაში იმყოფებოდა იზოლაციაში.

სამწუხაროდ, შიბლიანის საბავშვო ბაღში ვირუსი დაუდასტურდა ყველა თანამშრომელს მენეჯერისა და მუსიკის მასწავლებლის გარდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბავშვები არ არიან ინფიცირებულები. აღნიშნული საბავშვო ბაღი დაკეტილია 7 ივნისიდან.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განმავლობაში ორ კვირაში ერთხელ ხდება ყველა თანამშრომლის გატესტვა.

– სექტემბრისათვის ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებისათვის ყოველთვის ემზადება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სიახლეებისთვის. რა სიახლეებით (რემონტი, რეაბილიტაცია) შეხვდა დაწესებულება მარტში განახლებულ სასწავლო პროცესს? რომელი დაწესებულების შენობა მოითხოვს რეაბილიტაციას, ან რემონტს მომავალი სასწავლო წლისათვის?

– 2020-2021 სასწავლო-სააღმზრდელო წელს, ისე როგორც არასდროს, მაქსიმალურად არის მუნიციპალიტეტის ძალისხმევა მიმართული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის. როგორც ცნობილია, ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2500000 ლარია გამოყოფილი, რათა ყველა საბავშვო ბაღი, რომელიც მოითხოვს სრულ ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას, მოწესრიგდეს. უნდა მოხდეს სექტემბრამდე სრული რეაბილიტაცია ყანდაურის, თოხლიაურის, გიორგიწმინდის, პატარძეულის №1, ხაშმის, უდაბნოს, დიდი ჩაილურის და წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა. დიდი ჩაილურის და წყაროსთავის ბაღების გაფართოვებაა დაგეგმილი, კაკაბეთის №1 საბავშვო ბაღის შენობა კი რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, უნდა დაინგრეს და იმავე ეზოში ახალი შენობა აშენდება.

– ახალი კონტიგენტის მიღება დაიწყო, დაახლოებით რამდენ აღსაზრდელს ელოდებით ახალი 2021-2022 სასწავლო წლიდან?

– 10 ივნისიდან დაიწყო აღსაზრდელთა რეგისტრაცია რაიონის მასშტაბით, შეწყდება 1 ივლისს და განახლდება 20 აგვისტოდან კონტიგენტი უფრო მეტი გვეყოლება.

– იგეგმება თუ არა რომელიმე სოფელში (მაგალითად სათაფლეში) ახალი დაწესებულების მშენებლობა?

– საბავშვო ბაღის ახალი შენობის აშენება და გახსნა დაგეგმილი იყო სოფ. იორმუღანლოში, ოღონდ არ ვიცი რამდენად მოესწრება.

– როდის იწყება პედაგოგთა სერტიფიცირება?

– 2021-24 წლებში უნდა მოხდეს აღმზრდელების, აღმზრდელის თანაშემწეების და მუსიკის მასწავლებლების სერტიფიცირება

– თუ არის რაიმე სიახლე სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამაში?

– განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ადრეული განათლების პროგრამის მიერ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის სახელმძღვანელოები I და II ნაწილი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“. ეს სახელმძღვანელოები დავაბეჭდინეთ და შევისყიდეთ ყველა სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფისათვის. ეს არის უახლესი მეთოდური სახელმძღვანელო.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ჩვენი გაერთიანების დირექციისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების სახელით მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას იმ ზრუნვისა და თანადგომისათვის, რასაც ისინი იჩენენ ჩვენი თითოეული სააღმზრდელო დაწესებულების იმ სტანდარტებში მოყვანისათვის, რაც დღეს პროგრამითაა გათვალისწინებული და რასაც დღევანდელობა მოითხოვს. გვჯერა, რომ ოპტიმალურ ვადებში მოხდება ჯერ კიდევ არსებული პრობლემების მოგვარება.

– წარმატებას გისურვებთ, ქ-ნო ელზა.

– მადლობა

მართლმადიდებლობა

სულთმოფენობა

უფალი ჩვენი იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ მთელ ქვეყანაზე გაბრწყინდა კაცთა ნათესავის მაცხოვნებელი აღდგომის ნათელი. წმინდა მოციქულებმა მოძღვრისა და უფლის მკვდრეთით აღდგომის მარადიული და ხელშეუხებელი სიხარულის სიტკბოება განიცადეს. მათ სრული შეგნებით, გონიერებითა და სიხარულით გააცნობიერეს ის უდიდესი ძლევა, ქრისტე ღმერთმა რომ მოიპოვა მსოფლიო ბოროტებასა და სიკვდილზე, გაითავისეს ისიც, რომ თავადაც ამ ძლევაში მონაწილეობისათვის იყვნენ მოწოდებულნი.

მოციქულთა წინაშე იხსნებოდა უდიდესი, დიდებული და ერთობ მძიმე გზა, მასზე შესადგომად და საბოლოო გამარჯვების მიღწევისათვის ადამიანური შესაძლებლობები, ცხადია, არ კმაროდა. მხოლოდ სულიწმინდამ, მისმა მადლმა და კაცთმოყვარეობამ მიანიჭა მოციქულებსა და დედაეკლესიას ის უძლეველი ძალა, რომლითაც მონადირებული და განათლებულია მთელი ქვეყანა. სულიწმინდამ ამა სოფლის მძლედ ჰყო უფლის მოწაფენი, ბოროტების, ლეგიონის მთავრის მძლეველ, ქვეყნის კეთილ ანგელოზებად განაწესა ისინი, უძლური სხეულის მქონენი, მოკვდავი ადამიანები, უმდიდრესებად წარმოჩინდნენ მის მიერ. ბრძენ კაცებად წარმოაჩენს მათ, რომელთაც ელინური ფილოსოფიიდან და ამა სოფლის სიბრძნიდან არაფერი აუღიათ! „მეთევზურთა ბადეებით“ მოინადირეს კაცობრიობა და ღმერთის შემეცნებასა და სიბრძნის ზღვაში ჩაძირეს უღმერთოების მთელი სისაძაგლე.

წმინდა მოციქულების დროინდელი სულთმოფენობის შემდეგ სულიწმინდა განუშორებლად იმყოფება ეკლესიაში, მისი მადლი განუწყვეტლივ აღასრულებს ყველა საიდუმლოს. ეს დღესასწაული მხოლოდ წარსული მოვლენის გახსენება როდია, ის საღვთო სულის განსაკუთრებული და უხვი მყოფობაა ეკლესიაში, მისი მადლისმიერი დიდი მფარველობაა ყველას მიმართ, ვინც ამ დღეს ღმერთის ტაძრებში მუხლმოდრეკილი და გულშემუსვრილი ლოცულობს საკუთარ სულში სულიწმინდის მიღებისა და თავისი ცხოვრების კურთხევისათვის. აუცილებელია მოვემზადოთ ამ მადლის არა მხოლოდ შეხებისათვის, არამედ ჩვენს გულებში მოუკლებელი და განუყრელი დამკვიდრებისთვის. ნუ ვიფიქრებთ, თითქოს დრო უფლის ამაღლებიდან წმინდა სულთმოფენობამდე სიცარიელეს წარმოადგენს, რადგან იგი მხოლოდ იმისთვის მოგვეცა, რომ ჩვენი სულის ჭურჭელი წრფელი და ლოცვით განწმენდილი შევაგებოთ მას.

ნათქვამია, მაცხოვრის მოწაფეები ღვთის სულის გარდამოსვლის მოლოდინისას მხოლოდ „ლოცვასა და ვედრებაში“ იყვნენო. მათი სიხარული ამ უდიდესი ნიჭისა (საქ. 11,20) არ უკავშირდებოდა არავითარ შრომასა და სიძნელეს, რადგან მოციქულთა ღვაწლი მხოლოდ სულიერი იყო. ამ საოცარი დღის დადგომამდე არც ჩვენ მოგვეთხოვება მარხვა და მეტანიების კეთება, არამედ მხოლოდ - მადლის სასიხარულო წყურვილი და ლოცვა „ჰოი, სულო წმინდაო, მოვედ და დაემკვიდრე ეკლესიის გულში! ჰოი, სულო წმინდაო, მოდი ჩვენს მიწიერ ტაძრებშიც და ჩვენს გულებშიც!“

ეკლესია იქ არის, სადაც სული წმინდა მკვიდრობს. ამიტომაც მწვალებელთა თავყრილობა ეკლესია ვერ იქნება, თუნდაც მათი ტაძრის გარეგნული ფორმა ღვთის სახლს მოგვაგონებდეს - იგი მხოლოდ უსიცოცხლო სხეულია. სულიწმინდა მხოლოდ იქ იმყოფება, სადაც მართალი სარწმუნოება და მყარად განმტკიცებული სიმართლე და სიკეთეა. სწორედ ამგვარი ეკლესიის შესახებ მოწმობს უფალი, როგორც თავის სასძლოზე, და აუწყებს მას: „ყოვლად შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო და ბიწი არა არს შენ თანა“ (ქება 4,7).

ჩვენც ტაძარნი ვართ ღვთისა, როგორც თვით პავლე მოციქული ამბობს: „ხორცნი ეგე თქვენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელი-ეგე გაქუს ღმრთისაგან, და არა ხართ თვისთა თავთანი“ (I კორ. 6,19). ესე იგი, საკუთარ თავს კი არა, ღმერთს, ჩვენს უფალ იესო ქრისტეს ვეკუთვნით, რომელმაც უდიდესი სასყიდლით - თავისი პატიოსანი სისხლით გამოგვისყიდა და შეგვიძინა (საქ. 20,28).

ქვით, აგურით, მარმარილოთი და რკინით ნაგები მიწიერი ტაძრებიც ზიანდება და განახლებას საჭიროებს, თუმცა ბევრად უფრო მტკიცე მასალით არიან ნაშენები, ვიდრე ჩვენი სხეული, რომელიც ცოდვით დაცემის შემდეგ თავის უძლურებასა და მრავალ სნეულებას უკვლად სულს გადასცემს. ვილოცოთ, რომ სულიწმინდამ არა მარტო არ მიგვატოვოს, არამედ განგვაახლოს, გაგვაძლიეროს, განგვანათლოს და კეთილმშვენიერებაც მოგვანიჭოს.

სულიწმინდა პირველ საუკუნეთა ნათელია, იგია საუკუნო ცხოველმყოფელი ცეცხლი, ცხოვრების მომცემელი და თვით სიცოცხლეც. იგია გონება და ძალა, რომლის სიღრმის წვდომასა და აღწერას ვერასდროს შეძლებს ვერც ერთი მოკვდავი, და არა მარტო მოკვდავი, თვით ზეციურ ანგელოზთა დასნიც კი. ვინც იტყვის, ვიცი სულიწმინდაო - ცდება, რადგან მხოლოდ ღმერთმა უწყის ჭეშმარიტად მის შესახებ, რამეთუ თავად ღმერთია იგი: „ღმრთისა არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისაგან“ (I კორ. 2,11).

სულიწმინდასთან თითქოსდა „დაძმობილება“ მწვალებელთ სჩვევიათ. ჩვენ, მართლმადიდებლებს, შიშითა და ძრწოლით გვმართებს ზეციური სულის, ჩვენი ღმერთის სახელის ხსენებაც კი. თუკი შენში არ არის სული ქრისტესი, არც შენ ხარ ქრისტესი; თუ იგი არ შეეხება შენს გულს ამ ცხოვრებაში, ვაი შენდა! რადგან სულიერად კვლავ მკვდარი ხარ (რომ. 8,9,10). ვისაც განუცდია ოდესმე დიდი სიხარული, ეს სულიწმინდა იყო. განა გარეგნული სრული კმაყოფილების დროს არ გტანჯავდა წუხილი იმაზე, რომ ზეცას დაშორდი? - ამას სულიწმინდა გაუწყებდა და თავისკენ გიხმობდა. და პირიქით, ყველაფრისაგან მოკლებულს განა ოდესმე არ განგიცდია სრული კმაყოფილება ყველაფერში, ისე, რომ აღარაფერი გისურვებია? - ესეც მანუგეშებელი სული იყო. ჭეშმარიტად გვჯეროდეს - როცა სულიწმინდა ჩვენს სულს შეეხება, ქვეყნიერება სხვაგვარად წარმოგვიდგება და ჩვენში დაივანებს საოცარი სითბო და სიყვარული ყოველთა მიმართ და ყოველთა წინაშე.

უფალო, აღამაღლე მიწიდან ჩვენი გონება შენთან - ზეცაში, დაე, როცა ჩვენს თვალებს უსარგებლო და დამამძიმებელი აზრების ბურუსი მოსცილდება, მუდამ შენს ჭვრეტაში იყოს. ჰქმენ ჩვენი გული წმინდა და ამაღლებულ აზრთა სამსხვერპლოდ; ჰქმენ იგი შენს „მთად წმინდად“ (ფს. 47,1). მზეო სიმართლისაო, უფალო იესო ქრისტე, კვლავ გამობრწყინდი ჩვენ ცოდვილთა დამის სამყაროში და განაცისკროვნე ღრმად მძინარე ჩვენი სულები, განაღვიძე ისინი, რათა გაქებდნენ და გადიდებდნენ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს - მამას, ძეს და სულიწმინდას აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

უცნობი ბერის ჩანაწერების
ჟურნალი „კარიბჭე“

განათლება

ფრანგული ენის უკეთ შესწავლისათვის სოფელ პატარძეულში

სულ ახლახანს საქმიანი სტუმრობა იყო პატარძეულის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმში (მენეჯერი ცისიერ დიღმელაშვილი). სტუმრად იმყოფებოდნენ საფრანგეთის საელჩო და ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში.

ნასტასია დონეპასი – საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის ატაშე.
მიხაილ პრესლი – თანამშრომლობის ატაშე,
ნათია მსხილაძე – კამპუსფრანსის წარმომადგენელი.

სტუმრები გაეცნენ სკოლის საქმიანობას, შეხვდნენ მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ისაუბრეს ფრანგული ენის შესწავლის გზებსა და პრიორიტეტებზე პროფესიული წინსვლის მისაღწევად და მოსწავლეებს გადასცეს საჩუქრები.

„საგარეჯოს ეტალონი მოსწავლე“

გამარჯვებული იორმუღანლოს საჯარო სკოლის მეათეკლასელია

21 ივნისს საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონის“ საგარეჯოს დისტანციური კონკურსის ფარგლებში 2021 წლის „საგარეჯოს ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა. ტიტული ***იორმუღანლოს საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე* ნურლან ხალილოვმ**ა მოიპოვა, რომელსაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისგან ერთწლიანი სტიპენდია დაენიშნება.

2021 წელს საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ დისტანციურ რეჟიმში მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიხედვით წარიმართება. ინტელექტუალურ კონკურსში ჩართვა ნებისმიერი სკოლის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეს შეუძლია.

საგარეჯოელი მოსწავლეებისთვის საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის პირველი ეტაპის კონკურსი ტესტირების სპეციალური პორტალის საშუალებით 17 ივნისს გაიმართა. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით შეირჩა 61 მოსწავლე, რომლებიც ერთმანეთს 21 ივნისს „საგარეჯოს ეტალონი მოსწავლის“ ტიტულისთვის შეეჯიბრნენ.

გამარჯვებული, ***იორმუღანლოს საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე* ნურლან ხალილოვი**ს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახელით დასკვნით ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ასევე დისტანციურ რეჟიმში, ივლისში გაიმართება. ღონისძიებას პროექტის ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი გაუძღვება, მონაწილეები კი კონკურსში ვიდეოპლატფორმის საშუალებით მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებიდან ჩაერთვებიან. გამარჯვებული სამეული საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებული სასაჩუქრე ვაუჩერებით დაჯილდოვდება.

ინტელექტ-ჩემპიონატის კონკურსის პირველ ეტაპში მონაწილე ყველა საგარეჯოელი მოსწავლე „ეტალონის“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისგან სპეციალური ონლაინ სიგელით, ხოლო მეორე ეტაპში - ონლაინ ოქროს სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲖᲠᲓᲝᲔᲑᲡ...



ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘ, ანუ როგორც ქართველებმა ვიცით ხოლმე სახელის „დამოკლება“, ლადო მაჩურიძე 13 წლისაა. აქედან თითქმის ნახევარი, ექვსი წელია ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ ძიუდოს ***მწვრთნელ*** **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ხელმძღვანელობით მსოფლიოში პოპულარული ჭიდაობის სახეობას ეუფლება. რა თქმა უნდა, უცხო მისთვის არც ეროვნული, ქართული ჭიდაობაა. ამასწინათ, 29-30 მაისს, გურჯაანში ჩატარებულ ლაშა მღებრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოში ჩვენებურმა მოჭიდავემ 50 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილი დაიკავა. ეს მისი პირველი წარმატება როდია. მანამდეც, ადრეულ ასაკშიც, არაერთხელ მდგარა მაჩურიძეთა გვარის ღირსეული გამგრძელებელი გამარჯვებულთა კვარცხლბეკის საფეხურზე, რის დასადასტურებლად დღითი დღე მატულობს მის სახელზე გაცემული მედლები, დიპლომები და სიგელები: ბიძინა კევლიშვილის ხსოვნის ტურნირზე ძიუდოში 2006-2008 წწ დაბადებულ მოჭიდავეთა შორის 2017 წელს ჩემპიონი გახდა 32 კგ წონით კატეგორიაში, იმავე წელს გივი ონაშვილის სახელობის ტურნირზე ძიუდოში 27 კგ წ. კატეგორიაში დაიკავა III ადგილი; 2018 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავის იუბილისადმი მიძღვნილ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, რომელიც საგარეჯოში ჩატარდა, ჩემპიონი გახდა 32 კგ წონით კატეგორიაში; მომდევნო, 2019 წელს საგარეჯოელი ფალავნის გუგა მღებრიშვილის ხსოვნის ტურნირზე 34 კგ წონით კატეგორიაში – მეორე ადგილის მფლობელია; იმავე წელს კაკაბეთში ლევან თედიაშვილისა და უშანგი კუზანაშვილის სახელობის ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში II პრიზიორი გახდა 35 კგ წონით კატეგორიაში; 2018 წელს პირველი ადგილი დაიკავა გიორგი რევაზიშვილის სახელობის ტურნირზე 32 კგ წონით კატეგორიაში და სხვა.

სულ ახლახანს – 19-20 ივნისს კი ლადომ წყნეთში III საპრიზო ადგილი დაიკავა 50 კგ წონით კატეგორიაში ჭიდაობა ძიუდოში გიორგი ბერიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე. ამ ასპარეზობის შესახებ უნდა ადინიშნოს, რომ ჩვენებუური ფალავანი ბევრად უფროს ასაკში ჭიდაობდა და ტოლს არ უდებდა, სჯობნიდა კიდეც გამარჯვებულ მოჭიდავეს, თუმცა გამოცდილება დააკლდა და დამარცხდა. მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, ამ დღეებში ზუგდიდში ტარდება სერიოზული ტურნირი და ლადო იქ შეეცდება თავისი უპირატესობის დამტკიცებას.

სერიოზული და მოკრძალებული ჭაბუკი სააგრეჯოს IV საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეა და როგორც გვითხრეს, არც სწავლაში ჩამორჩება.

ლადოს ახლო წინაპრები სოფელ თარაქის მკვიდრნი ყოფილან. პაპამისი და მისი სეხნია დიდი ლადო მაჩურიძე გასული საუკუნის 60-იან წლებში თარაქიდან ფეხით დადიოდა სასწავლებლად მანავის საშუალო სკოლაში. ეს ის დრო იყო, როცა ამ სკოლაში ერთბაშად 5-6 სოფლის: დიდი და პატარა ჩაილურის, ბურდიანის, თარაქის, თვითონ მანავისა და თოხლიაურის მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლებოდა ცოდნას. მაგრამ თუ სხვა სოფლებიდან ჯგუფებად, რამდენიმე მოსწავლე მაინც დადიოდა, ლადო მაჩურიძეს მარტოკას, ტყის გზებით უწევდა სკოლაში სიარული და 5-6 კმ-ს გავლა აქეთ-იქით სიცხეში, სიცივეში, წვიმასა თუ თოვლ-ჭყაპში. ასეთი ფიზიკური დატვირთვა მას ფიზიკურ განვითარებაში დაეხმარა და ბეჭდაუდებელ ფალავნად ითვლებოდა სკოლასა და ახლო-მახლო სოფლებში.

ამბობენ, რომ უფრო უკეთესად ჭიდაობდა მისი ძმა გურამი, რომელიც თუ არ აჭარბებდა, არაფრით უდებდა ტოლს გურამ გოგოლაურს, მაგრამ უდროოდ გარდაიცვალა 17 წლის ასაკში, ისე, რომ ვერ მოასწრო სოფლის დღეობებიდან დიდ სპორტში გაღწევა.

მამისაგან, ლადო მაჩურიძისაგან გამოჰყვათ ჭიდაობის და რაინდობის გენები მის ვაჟებს გოჩასა (უმცროსი, ვლადიმერის მამა) და გურამს, რომლებიც ქართულსა და ძიუდოს ჭიდაობდნენ, მონაწილეობდნენ სხვადასხვა დონის ასპარეზობებში და მაშინდელი მიღწევების დამადასტურებელი სიგელ-მედლები დღემდე აქვთ შემორჩენილი.

აი, ასეთ გენებზე იზრდება ჩვენი პატარა ფალავანი, რომლის მიბაძვითაც მისი უმცროსი ძმაც მიებარა აღსაზრდელად მამუკა მათიაშვილს, მწვრთნელს, რომელსაც გარდა ქართული საჭიდაო სკოლისა, გერმანულ ბუნდესლიგაში მონაწილეობის გამოცდილებაც აქვს და აქ იმის მტკიცებას აღარ მოვყვებით, თუ რა როლს ასრულებენ მწვრთნელები სპორტსმენთა აღზრდა-წარმატებებში. რაც მთავარია, მამუკა მათიაშვილთან ერთად მათ გვერდში უდგათ ჭიდაობაზე უზომოდ შეყვარებული პაპა, კაცი რომელმაც იმდროინდელი ძნელბედობის გამო ვერ შეძლო ჭიდაობის გაყოლა, მაგრამ ეს სიყვარული თავის შვილებსა და შვილიშვილებზე გადააქვს. მას იმედი აქვს, რომ თავის სეხნიას საგარეჯოს საჭიდაო ხალიჩიდან დიდ სპორტულ არენებზე გაიყვანს და უმაღლეს ჯილდოებსაც აზიარებინებს.

ᲒᲘᲕᲘ ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ მცხეთაში ჩატარდა ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელიც აქაური ფალავნის არჩილ ჩოხელის პატივსაცემად იმართება ხოლმე. ტურნირი ტარდებოდა 2004-2005 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებში, სადაც მძიმე წონაში ჩვენმა საგარეჯოელმა ფალავანმა **ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲡᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** მეორე ადგილი დაიკავა 80 კგ წონით კატეგორიაში. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა კიდევ ერთი საგარეჯოელი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲠᲓᲖᲚᲘᲐᲜᲘ.**

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, რომელშიც ძიუდოში მომავალი ევროპის, მსოფლიო, ოლიმპიური ჩემპიონები დღესდღეობით ვარჯიშობენ, მზისგულის ორგანოს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. შენობა 1948 წელსაა აგებული და მას შემდეგ რამდენ ქარწვიმასა და მზე-თოვლს უძლებს... ერთ დროს ეს დარბაზი სასოფლო კლუბის მოვალეობას ასრულებდა. აქვე უშვებდნენ ფილმებს, ატარებდნენ სოფლის შეკრებებს, ყრილობებს, კოლმეურნეობის კრებებს.... დრო შეიცვალა და აქედან ნელ-ნელა გაიტანეს ერთადერთი სამშვენისი – სკამები. დაცარიელდა დარბაზი და უსარგებლო გახდა...

ერთი პერიოდი საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა თავშესაფარიც იყო, შემდეგ, სანამ საბავშვო ბაღის ახალი შენობა აშენდებოდა, 2010 წლიდან გადატიხრეს და ერთ ნაწილში დროებით თავშეფარებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელები იყვნენ, მეორე მხარეს სოფლის ახალგაზრდები, საშუალო სკოლის მოსწავლეები ვარჯიშობდნენ ჭიდაობა ძიუდოში. აქაური ახალგაზრდა სპორტსმენი სოსო ჭიკაძე მზისგულელ მოსწავლეებს 2 წლის განმავლობაში უხელფასოდ ავარჯიშებდა ძიუდოში. თავად სოსომ კუსტარულად გააკეთა სავარჯიშო ინვენტარი, ჭერიდან ბაგირი ჩამოუშვა, 2013 წლიდან კი ლეიბებიც მოაშველა საგარეჯოს სპორტგაერთიანებამ და ხელფასიც დაუნიშნა. აქ აიდგეს ფეხი სოსო გიქორაშვილმა, მიშა გურგენიძემ, ნიკა ჩოკოშვილმა, რეზო ჭიკაძემ, გოგიტა მღებრიშვილმა, დიმიტრი ზირაქაშვილმა, თენგო ზირაქაშვილმა. თენგო ზირაქაშვილის მიერ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში მიღწეული წარმატებები ყველამ კარგად იცის.

ასე, რუდუნებით, ერთი აგურის მეორეზე დადებით ცდილობს მწვრთნელი სოსო ჭიკაძე სოფელში მომავალი თაობის სპორტის თუნდაც ერთ სახეობაში დაფრთიანებას. მომავლის მიზნებიც კარგი, კარგი კი არა, საუკეთესო აქვს... მინი სტადიონი ხომ თავისი ხელით გააკეთა, ღია ტრენაჟორები მოაწყეს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი თანხიდან. სოფლის მოსახლეობასთან საარჩევნო შეხვედრაზე, შემდგომში სოფლის მუნიციპალიტეტის რჩეულმა საქართველოს პარლამენტში დავით სონღულაშვილმა პატარა ძიუდოისტებს და მათ მწვრთნელს ძიუდოს დარბაზის აშენებას დაჰპირდა. და ... შემდეგ კი სოსო ჭიკაძის ხელმძღვანელობით ნაგავსაყრელად ქცეული ერთ დროს დიდი სტადიონი გაასუფთავეს, გზებიც გამოიკვეთა და ახლა იქ სარბენი ბილიკების მოწყობასა და პარლამენტარის დაპირების შესრულებას ელიან... ის კი იციან, რომ ტენდერი გამოცხადდა და უახლოეს ხანებში მინი-სტადიონიც მოეწყობა და დიდ სტადიონსაც და მინი სტადიონსაც ღამის განათება ექნება...

ვგონებ, არ იქნება ინტერესმოკლებული, ჩვენი გაზეთის მკითხველს და მის აღზრდილებსაც და დღევანდელ აღსაზრდელებსაც შევახსენოთ სოსო ჭიკაძის მიერ დღემდე განვლილი გზა.

დაიბადა 1985 წელს სოფელ ბოგდანოვკაში. სწავლა ჯერ ბოგდანოვკის სკოლაში დაიწყო, შემდეგ კი სოფელ კაჭრეთის პროფლიცეუმში, რომელიც 2002 წელს დაამთავრა.

2004 წლიდან 2008 წლამდე სწავლობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის აკადემიაში (რომელიც შემდეგ ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტად გადაკეთდა).

2009 წლის დეკემბერში მუშაობა დაიწყო ბოგდანოვკის საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებლად, სადაც მუშაობს ამჟამადაც და ამავე სკოლაში ასწავლის საგზაო მოძრაობის წესებს. სამი წლის მანძილზე სოფელში მუშაობდა ძიუდოს მწვრთნელად უხელფასოდ. სოფლის ყოფილი კლუბის დარბაზში თავად გააკეთა თვითნაკეთი სპორტული იარაღები, რომლებითაც მისი აღზრდილები დღესაც სარგებლობენ. სოსოს 2012 წლიდან დაენიშნა ძიუდოს სექციის მწვრთნელის ხელფასი.

სოსო სკოლაშიც და ინსტიტუტშიც სწავლის პერიოდში აქტიურად იღებდა მონაწილეობას ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუ-დოში. განსაკუთრებული ინტერესით მონაწილეობდა ტურნირებსა და შეჯიბრებებში ფალავნობაზე. რამდენჯერმე აქვს მოგებული ფალავნობა შიბლიანში, კაჭრეთში, დიღომში, ვერის ბაღში.

საქართველოს ფიზკულტურის აკადემიაში სწავლისას ის მონაწილეობდა მთელ რიგ ტურნირებსა და შეჯიბრებებში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. ყოველთვის იკავებდა I და II ადგილებს.

საგარეჯოში ვარჯიშისას სპორტდარბაზში წვრთნები ფინანსური კრიზისის გამო ჩაიშალა, რამაც იძულებული გახადა სოსო თბილისში გურამ მოდებაძესთან გაეგრძელებინა ვარჯიში. იყო საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში 2001 წლიდან. პერსპექტიულ, ახალგაზრდა მოჭიდავეს მართლაც საინტერესო და წარმატებულ სპორტულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სოფელში მომხდარი ინციდენტისას იგი მძიმედ დაიჭრა. ხუთი ორგანო დაუზიანდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. - ასე ჩაიარა 12 წლის შრომამ ფუჭადო, - მითხრა სოსომ. მაგრამ რატომ ფუჭად? დღეს მისი ზედამხედველობით ვარჯიშობენ ბოგდანოვკელი ბიჭები ძიუ-დოს სექციაში და წარმატებებს აღწევენ - სოსო გიქორაშვილი, მიხეილ გურგენიძე, ლაშა მღებრიშვილი, თენგიზ ზირაქაშვილი, რუსლან ვოროშილოვი, რეზო ჭიკაძე, გიგა და ნიკა ჩოკოშვილები და სხვები – მონდომებული, ნიჭიერი, გამარჯვებებისათვის მოტივირებული ბიჭები.

სოსოს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. *(ᲭᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲐᲠᲔᲯᲔᲚᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲑᲘ“)*

მაშ, ასე დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სოსო ჭიკაძის 18 აღსაზრდელიდან სამი ვიწვიეთ. აი, ისინიც:

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲖᲘᲠᲐᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ – მზისგულის საჯარო სკოლის უკვე მეშვიდეკლასელია. სკოლაში საგნებიდან ინგლისური და მათემატიკა უყვარს. რაღაცნაირად მორიდებული ბიჭია, მაგრამ ყველაფერს აკვირდება, ბევრს არ საუბრობს და უფრო მეტად ცდილობს მოსაუბრეს გულდასმით მოუსმინოს. 15 ტურნირში აქვს მონაწილეობა მიღებული და ხშირადაც იმარჯვებს, აბა, მეზობელსა და ბიძაშვილს თენგო ზირაქაშვილის გვარს ხომ არ შეარცხვენს?! სიხარულით ემზადება ხოლმე მარტყოფში წასასვლელად, ძალიან უყვარს და ესახელება ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის დარბაზში ტურნირებში ხშირი მონაწილეობა. უამრავი მედალი აქვს სახლში, ხო, 15, ჯერჯერობით. მხოლოდ ჭიდაობა არ აინტერესებს, ფეხბურთსაც მშვენივრად თამაშობს საჯარო სკოლის კეთილმოწყობილ სპორ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲔ-7 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

კრიკეტი **სპორტი**

გარეჯელი „კლასიკოსების“ მწვრთნელი „ევროპულ“ მედალსაც გვპირდება

უკვე ხუთი წელი გავიდა, რაც ***ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაზე*** უზომოდ შეყვარებულმა ***მწვრთნელმა თამაზ ყიფიანმა*** საგარეჯოში ოდესღაც არსებული ჭიდაობის ეს სახეობა ახლიდან ააღორძინა. თუ არა ამ საქმისადმი ერთგულება და თავდადება, სხვა მის ადგილას ხელს ჩაიქნევდა იმ სირთულეების წინაშე, რომელთა გადალახვა მოუწია მოწადინებულ მწვრთნელს. მას კი არ შეშინებია ამის და ნაბიჯ-ნაბიჯ, ჭიდაობის გარეჯელი ქომაგების თანადგომითა და დახმარებით შეძლო ამ ბარიერის გადალახვა და დასახული მიზნის განხორციელება. შეძლო და თანაც როგორ, სათითაოდ დაიარა საგარეჯო, მანავი, თოხლიაური, ჩაილური, მოიძია ჭიდაობის მოყვარული მოზარდები და მათ უკვე ორ – საგარეჯოსა და მანავის საჭიდაო დარბაზებში ავარჯიშებთ. თანაც არ იკითხავთ, როგორ დადიან პატარები ვარჯიშებზე? ისინი თამაზ მასწავლებელს საკუთარი ავტომანქანით დაჰყავს ხოლმე. ვარჯიშის დაწყების წინ ამაგდარი მწვრთნელი ჩამოუვლის მოსწავლეებს და თოხლიაურიდან და ბურდიანიდან მანავის სკოლის სპორტდარბაზში სავარჯიშოდ მიჰყავს წრის წევრები, ანდა საგარეჯოში ქვემო უბნიდან ცენტრში გადმოჰყავს მოზარდები.

უნდა ითქვას, რომ „შეგირდებიც“ უფასებენ მწვრთნელს ამ შრომასა და ამაგს. ამ ხუთი წლის მანძილზე ბევრი მისი აღსაზრდელი გახდა რესპუბლიკური, რეგიონული თუ სხვა დონის შეჯიბრების ჩემპიონი თუ საპრიზო ადგილის მფლობელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა არც ერთი ისეთი სპორტული ასპარეზობა, რომელშიც თამაზ ყიფიანის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ და იქიდან 5-6 საპრიზო ადგილი არ წამოეღოთ საგარეჯოში.

თამაზ ყიფიანის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი საგარეჯოში ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობს საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც ქართველ მოზარდებთან ერთად მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც იღებენ ხოლმე მონაწილეობას.

მიუხედავად კორონა-ვირუსის პანდემიისა, თამაზ ყიფიანის აღსაზრდელები არ წყვეტენ ვარჯიშებსა და მომავალი ასპარეზობებისთვის მომზადებას. რუსთავში მიღწეული წარმატების გარდა, მათ კიდევ ერთი სასახელო შედეგით დაასრულეს 11-12-13 ივნისს წალკაში, ქვემო ქართლის ღია პირველობაში თავიანთი ასპარეზობა – ხუთი პირველი, ორი მეორე, ერთი მესამე საპრიზო და გუნდური პირველი ადგილი – ასეთია მათი შედეგი ამ პირველობაზე. ეს სამდღიანი ასპარეზობა ჩატარდა ორ ასაკობრივ – 2007-2008-2009 და 2010-2011 წლებში დაბადებულთა შორის, რომელშიც 8 მუნიციპალიტეტის 150 მოზარდი იღებდა მონაწილეობას. ჩვენი მოჭიდავეებიდან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ჩემპიონები გახდნენ: თოხლიაურელი საბა ტაბატაძე (62კგ), საგარეჯოელი ლუკა მარტიაშვილი (68კგ), ბურდიანელი შოთიკო ტაბატაძე (85 კგ). ყველაზე უმცროსი – 26 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე თოხლიაურელი ალექსანდრე ბექაური და დავით მაისურაძე. მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ბურდიანელი გელა წიკლაური და საგარეჯოელი ამირან დორეული. ასპარეზობის მესამე პრიზიორი 20 კგ წონით კატეგორიაში გახდა გიორგი შაიშმელაშვილი.

ცალკე აღსანიშნავია დამწყები მოჭიდავის დათო მაისურაძის გამოსვლა, რომელმაც დაამარცხა თავისზე მძიმე მოწინააღმდეგე და დაიკავა I ადგილი.

როგორც ჩვენთან საუბარშითამაზ ყიფიანმა აღნიშნა, ორივე – მანავისა და საგარეჯოს სავარჯიშო წრეში წვრთნა სრული დატვირთვით მიმდინარეობს და ემზადებიან ახალი წარმატებისათვის. ოქტომბერში კი დაგეგმილი აქვთ საგარეჯოში ჩაატარონ შეჯიბრება მუნიციპალიტეტის მერიის თასზე. მანამდე, სულ უახლოეს მომავალში თამაზ ყიფიანი საქმით და არა სიტყვით, ევროპულ მედალსაც გვპირდება მოსწავლეთა ასაკში, რასაც შემდეგ კიდევ შემატებენ მაღალი დონის შეჯიბრებებში მიღებულ ჯილდოებს.

როგორც იტყვიან, მწვრთნელი აღარ ხუმრობს.

ვნახოთ, რა მოჰყვება მის ამ დაპირებას.

ძიუდო

პრიზიორები გურჯაანის ტურნირიდან

29-30 მაისს გურჯაანში ჩატარდა ლაშა მღებრიშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2006-2007-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის, სადაც მონაწილეობდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ ამ წლებში დაბადებული მოჭიდავეებიც. მათგან შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს ***ოთარ ოდიკაძემ*** (34კგ), ***ნიკოლოზ კურდღელაშვილმა*** (42კგ) და ***ელადიმერ (ლადო) მაჩურიძემ*** (50კგ).

მეორე საპრიზო ადგილზე 46 კგ წონით კატეგორიაში გავიდა და შესაბამისად ვერცხლის მედალი ერგო ***გიორგი მჭედლიშვილს***. ასევე, მეორე ადგილი ხვდა წილად 42 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ***ონისე ბორაშვილს,*** რომელმაც ნატკენი მხრის გამო ვერ შეძლო ფინალურ ორთაბრძოლაში ჭიდაობა.

ირაკლი კუპატაძე – „დიდგორობის“ ჩემპიონი

მაისის მიწურულს ჩატარდა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „დიდგორობა“, რომელსაც ასევე ამშვენებდა, ასევე ტრადიციული ქართული ჭიდაობა. ასპარეზობაში დიდების ასაკში 60 კგ წონით კატეგორიაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ჭიდაობა ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში სხვადასხვა დონის ასპარეზობის არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი ***ირაკლი კუპატაძე,*** რომელმაც აღმავლობით ჩაატარა ყველა ორთაბრძოლა და აღნიშნულ წონაში გახდა ამ დღესასწაულის ჩემპიონი.

გარეჯული კრივის მეორე ეტაპზე

საგარეჯოში კრივის, როგორც სპორტის ოფიციალური სახეობის ისტორია, არსებობის მცირე დროის მიუხედავად, პირობითად, შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს. პირველი ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ ბაზაზე მწვრთნელ ზურაბ იმნაძის მიერ შესაბამისი წრის ჩამოყალიბებისა და მეორე – მისი ავადმყოფობის გამო საკმაო დროით გამოწვეული შეფერხების შემდეგი წრის მუშაობის აღდგენა-აღორძინების დღევანდელი პერიოდი. კრივის გარეჯელ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ის წარმატებები, რასაც ჩვენებური მოკრივეები აღწევდნენ ჩვენი ქვეყნისა თუ სხვა რინგებზე ზურა იმნაძის ხელმძღვანელობით, რაც, სხვათა შორის, რეგულარულად შუქდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. სწორედ მისი აღზრდილია ის ადამიანიც, ვინც ამ პოსტზე თავისი მასწავლებელი შეცვალა და გააგრძელა მოზარდებისათვის საგარეჯოში კრივის სწავლება. ეს გახლავთ 15 წლამდელებში საქართველოს პრიზიორი, 17 წლამდელებში საერთაშორისო ტურნირის III პრიზიორი, სხვადასხვა ღია ტურნირების გამარჯვებული, კახეთისა და საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ჩვენი თანაქალაქელი **გიორგი კოხტაშვილი.**

სულ რაღაც წერლიწადნახევარი, ცოტა მეტ-ნაკლებია, რაც გიორგიმ საგარეჯოში კრივის სწავლებას მოჰკიდა ხელი. აქედან, 4-5 თვეს პანდემიის გამო ცოტა შეუფერხდათ ვარჯიშის ჩატარება, მაგრამ შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა – თბილისისა და კახეთის კრივის დარბაზებში სპარინგების ჩატარებით შეძლეს ამ „დანაკლისის“ ანაზღაურება და მათმა ამ დაუღალავმა შრომამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო. 14-18 აპრილს საქართველოს კრივის ფედერაციის მიერ ქ. ფოთში ჩატარდება მოსწავლეთა (2007-2008წწ) ჩემპიონატი.

სურათზე მოკრივე ნიკოლოზ ბუხნიკაშვილი

გივი დაბახიშვილი

ჩვენს სპორტულ დარბაზებში
ოცნებები და მიზნები ასოფლიო ჩემპიონობისკენ

დასასრული

ტულ მოედანზე.

ილია ჯაფოშვილი – მეზობელი რაიონის მეზობელი სოფლიდანაა. ჯიმითის საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელია მასაც. სპორტის ყველა სახეობა მოსწონს, მაგრამ მამამისივით – გიგასავით ძიუდოს გაჰყვა. გიგა 8 წელი ჭიდაობდა, სავარჯიშოდ საგარეჯოს სპორტდარბაზში დადიოდა, შემდეგ ტრავმის გამო თავი დაანება აქტიურ სპორტს. ილია კი 6 წელია სოსო ჭიკაძესთან ვარჯიშობს. კარგად იცის, რომ სოსო მასწავლებელი ბავშვებს „არ დაინდობს“, მთელი დატვირთვით ავარჯიშებს და თანაც, აქ უფრო ბევრნი არიან. ილიას 17 ტურნირში აქვს მონაწილეობა მიღებული, ჰო და 17 მედალსაც ითვლის სახლში მისი სპორტული კუთხე.. სკოლაში კარგად სწავლობს – მხოლოდ რუსულსა და ინგლისურში გამოჰყვა 9-იანები, დანარჩენი 10 ქულითაა შეფასებული. ძალიან განიცადა, რომ IV და V კლასში გაუცდა სპორტული დატვირთვა. ახლა იტყვით, მართლაც რა არ ხდებაო. და ილიას იმ პერიოდში დაჭრილმა წერომ თვალში ჩაუნისკარტა – მასზე იყარა ჯავრი, როგორც ჩანს! ექიმებმა ფიზიკური დატვირთვა 1 წლით აუკრძალეს. მაგრამ, ჩემპიონობას არაფერი ურჩევნია – ავთანდილ ჭრიკიშვილი მისი ნათესავია და სწორედაც უნდა სწორება მის მიღწევებზე.

ერეკლე ჭიკაძე – მზისგულის საჯარო სკოლის უკვე მეხუთეკლასელია – ვარჯიში 5 წლისამ დაიწყო. იცით, ამ პატარა ბიჭს 13 ტურნირი აქვს მოგებული. თავად გვითვლის: გურჯაანი, თბილისი, ბოლნისი, თელავი, ახმეტა, ხაშური, ყვარელი, მარტყოფი... ალბათ ერთი ოთახის კედლები არ ეყოფა მალე მის მიერ მოპოვებულ მედლებს... პაპა – რეზო ჭიდაობდა, თურმე... – მამა?! კითხვაზე მამას აჩერებდა –სოსო ჭიკაძეს... სკოლაში ძალიან უყვარს მათემატიკის გაკვეთილი. სიხარულით თვალები უბრწყინავს, ძალიან, ძალიან კარგი მასწავლებელი ჰყავს – მაია მეურმიშვილი, ქართულს თამილა ზირაქაშვილი ასწავლის. დამრიგებელი? დამრიგებელი დალი პიტიურიშვილია და მიხსნის, რომ დალი მასწავლებელს მოსკოვშიც და რუსთავშიც საუკეთესო სკოლებში უმუშავია, ახლა კი უკვე პენსიაზე ყოფნა არჩია და მომავალი წლიდან სკოლის კედლებში ვეღარ ნახავს... სამაგიეროდ, სპორტის გაკვეთილებზე სოსო ჭიკაძე ეყოლება, ცოტა კი შემებრალა, მაგრამ ისეთი „კერკეტი კაკალი“ ჩანს, სპორტულ ყველა ნორმატივს შეასრულებს სკოლის სპორტულ დარბაზშიც და ძიუდოს დარბაზშიც...

მოცალეობისას აკაკი წერეთლის ლექსებსა და მოთხრობებს კითხულობს.

როცა მოწინააღმდეგეს „ერკინება“ გონებრივადაც და ფიზიკურადაც მხოლოდ მოგებაზე, გამარჯვებაზე ფიქრობს და მასაც უნდა ტატამზე ბეჭდაუდებელის სახელი მოიპოვოს. სამომავლოდ უნდა საქართველოს პარლამენტის წევრი და მაგარი სპორტსმენი გამოვიდეს, ან პირიქით, მაგარი სპორტსმენი და პარლამენტის წევრი.

ეს ბიჭები და თავიანთი წრის წევრები მწვრთნელ სოსო ჭიკაძეს კვირაში ერთი დღე საგარეჯოში, არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტდარბაზში მამუკა მათიაშვილის ძიუდოს წრის ძიუდოისტებთან მოჰყავს, ძალების მოსასინჯად და გამარჯვებისაკენ მიმავალი გზების ადვილად გასაბილიკებლად.

სულ ახლახანს, 12 ივნისს ისინი მაია წყნეთელის სახელობის ზეიმში იღებდნენ მონაწილეობას. ილია ჯაფოშვილმა (35კგ) და ერეკლე ჭიკაძემ (30კგ), მეორე ადგილები დაიკავეს, მერაბ ზირაქაშვილმა – მესამე (35კგ).

წარმატებები ვუსურვოთ მზისგულის პატარა, შეუფერებელ დარბაზში მოღვაწე, მაგრამ სპორტის დიდი მწვერვალების დასაპყრობად მებრძოლ პატარა ძიუდოისტებს და მათ ამაგდარ მწვრთნელს.

ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ახალი პროექტი და გარეჯელი გოგონების ამოცანები

იაპონელი ძიგარო კანოს მიერ საძირკველმომაგრებულმა ძიუდომ დიდი ხანია დაიპყრო მთელი მსოფლიოს საჭიდაო არენები და იგი არა მარტო კაცების, არამედ კაცობრიობის სუსტი სქესის წარმომადგენელთა საყვარელ სპორტის სახეობადაც იქცა. ძიუდო არც ჩვენი, ქართველი ქალებისათვისაა უცხო, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში. ამ საქმეს საგარეჯოელები მწვრთნელ ლუდმილა ფერაძეს უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც 2014 წლის 4 თებერვალს აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ ბაზაზე ჩამოაყალიბა ძიუდოს შემსწავლელი გოგონათა წრე და დაიწყო მათთვის ჭიდაობის ამ საყოველთაოდ აღიარებული სახეობის სწავლება.

იმ დღიდან უკვე შვიდ წელზე მეტი გავიდა და ამ ხნის მანძილზე მოწადინებულმა მწვრთნელმა გარეჯულ და ქართულ სპორტს არაერთი ღირსეული ძიუდოისტი გოგონა გაუზარდა, რომელთაც ღირსეულად დაიცვეს ქართული ძიუდოს სახელი ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონის ასპარეზობებში. უფრო ფართო და დიდი შესაძლებლობები იშლება ძიუდოთი დაინტერესებული ქართველი და ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები გოგონებისათვის იმ პროექტით, რომელიც წამოიწყო საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ სახელწოდებით „მომავალი JUDO, მოქნილი გზა წარმატებისაკენ“.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს რეგიონებში მცხოვრები ძიუდოთი დაინტერესებული გოგონების ცნობიერების ამაღლებას, სადაც გოგონები შეისწავლიან ძიუდოს ილეთებს იაპონური ტერმინოლოგიით, სწავლის დასრულების შემდეგ კი წარმატებული გოგონები გაიკლიან შეკრებას ბრაზილიის, იაპონიისა და საფრანგეთის სპორტულ კლუბებში. ამ პროექტს აფინანსებს სახელმწიფო და ამ პროექტში მონაწილეობა არის სრულიად უფასო. ჩვენს მუნიციპალიტეტში პროექტს უხელმძღვანელებს და გოგონათა წვრთნებს ჩაატარებს ჩვენთვის უკვე ცნობილი მწვრთნელი ლუდმილა ფერაძე. ამ და სხვა საკითხების შესახებ გვესაუბრება იგი ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის ფურცლებზე.

– უნდა გითხრათ,რომ ძიუდოს ორი ძირითადი ფილოსოფიური პრინციპი უდევს საფუძვლად. I. ურთიერთდახმარება და ურთიერთგაგება უდიდესი პროგრესის მისაღწევად და II სხეულისა და სულის ოპტიმალური გამოყენება. უნდა აღვნიშნო, რომ ძიუდოს ფედერაციის მიერ დაწყებული პროექტი ამიტომაც მართლაც არაჩვეულებრივია,– **გვითხრა მან**. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მის ავტორს ბ-ნ დავით ქევხიშვილს და ძიუდოს ფედერაციას მისი განხორციელებისათვის. პროექტის გათვლა და მიზანია 2028 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშები. მე პირადად ვარ ამ პროექტის ერთ-ერთი მწვრთნელი-ინსტრუქტორი. საგარეჯოში,ბოდბისხევში და აჭარაში ვამეცადინებ პროექტში ჩართულ

გოგონებს. მათგან წარმატებული გოგონები პროექტის დასრულების შემდგომ წვრთნას გაიკლიან უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში და ყველაფერი ეს არის სრულიად უფასო.

– და როგორია ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში გოგონების აქტივობა?

– როგორც გითხარით,მე სამ რეგიონში მიწევს მუშაობა და როგორც საგარეჯოში გოგონათა ძიუდოს ფუძემდებელს, გული მწყდება, რომ აჭარაში უფრო მეტი გოგონაა ძიუდოთი დაინტერესებული, ვიდრე საგარეჯოში.

– არა და, როცა საგარეჯოში გოგონების მიერ ძიუდოს შესწავლა დაიწყო, თუ არ ვცდები, მისი აქტივობა მეტად მაღალი იყო...

– კი, ამ საქმის დაწყების დროს ჯგუფში 30 გოგონა ვარჯიშობდა. პირველი დიდი წარმატება კი საგარეჯოს გუნდს ნატალია ყიფშიძემ მოუტანა, რომელიც გახდა თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში, სამბოში მსოფლიო ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. შემდეგში წამოვიდნენ და საქართველოს ჩემპიონები გახდნენ თინანო რევაზიშვილი, მარიამ კოხტაშვილი, ანა ასანიშვილი, ნატალია ყიფშიძე, მარიამ ლაფაჩიშვილი, სალომე გულისაშვილი, ნინი ლოლაძე, ბრინჯაოს და ვერცხლის მედლის მფლობელები არიან ლალი ხოსიტაშვილი, მარიამ ხოსიტაშვილი, თამარ სუხიაშვილი...

– თუ არ მეშლება, მათგან საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულნიც არიან, არა?

– დიახ, ჩემს აღსაზრდელებში არიან საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულნიც. ესენი არიან: ნატალია ყიფშიძე, ნინი ლოლაძე, მარიამ ლაფაჩიშვილი, სალომე გულისაშვილი. აქვე მინდა დავძინო, რომ ისე წელიწადი არ გასულა, რომ საგარეჯოს წრიდან ძიუდოს ეროვნულ ნაკრებში 4-5 გოგონა არ ჩარიცხულიყო..

– ახალი თაობის ძიუდოისტი გოგონებიდან ვის გამოჰყოფდით, ვისი იმედი გაქვთ, როგორც მწვრთნელს და ვისგან უნდა ელოდოს ძიუდოს საგარეჯოელი გულშემატკივარი მომავალში წარმატებებს?

– თამთა სუხიაშვილთან, მარიამ ლაფაჩიშვილთან, ნინი ლოლაძესთან ერთად ახალი თაობის გოგონებიდან მიემატებიან ნინო სულიკაშვილი, ნატალია ტიგინაშვილი, ლიზა აბელაშვილი, მარიამ აბელაშვილი, რომელთაგანაც უახლოეს მომავალში კარგ და სერიოზულ შედეგებს მოველი.

– რას გვეტყოდით მიმდინარე წლის 27-28 აპრილს 2004-2006 წლებში დაბადებულ გოგონებში თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ძიუდოში თქვენი გუნდის გოგონათა მიერ მოპოვებულ შედეგებზე?

– ამ ასპარეზობაში, როგორც იცით, ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ გოგონების ნაკრებმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა. ჩემი აღსაზრდელებიდან აქ საქართველოს ჩემპიონი გახდა ნინი ლოლაძე, ხოლო მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლალი და მარიამ ხოსიტაშვილები. ამ წარმატებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა საქართველოს ჩემპიონი ნინი ლოლაძე დაჯილდოვა ფულადი ჯილდოთი 500 (ხუთასი) ლარით, მარიამ და ლალი ხოსიტაშვილები – თითოეული – 300 ლარით, ხოლო მწვრთნელი – ხუთასი ლარით.

– ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ ნინი ლოლაძის შესახებ აღნიშნავდით, რომ თუ იგი ბოლომდე გაითვალისწინებდა თქვენს მიცემულ რეკომენდაციებს, უსათუოდ კარგ შედეგებს უნდა მოველოდეთო და მგონი ამართლებს კიდეკაც ამ ნდობას. რას გვეტყვით მის სამომავლო გეგმებზე.

– ნინი ლოლაძემ ძიუდოს დარბაზის კარი 2016 წლის მაისში შემოაღო პირველად. ამჟამად კი იგი არის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების წევრი და ემზადება ევროპის ჩემპიონატისათვის. იგი ამ მზადებას გადის დიდების ასაკის ნაკრებთან. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ნინი ლოლაძე ახალგაზრდებშიც მიიღებს მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატზე.

– ლალი და მარიამი როგორი მოჭიდაველები არიან?

– ლალი ხოსიტაშვილი და მარიამ ხოსიტაშვილი ჩემთან 2014 წლიდან ვარჯიშობენ და ძალიან წარმატებული გოგონები არიან. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ამ პანდემიამ დროებით ცოტათი შეაჩერა გოგონების წინსვლა. ასევე, მარიამმა შეიცვალა წონა და უფრო მეტი ვარჯიშია საჭირო წარმატების მისაღწევად.

– ესეც რომ არა, უშრომელად და გაურჯელად ამ ქვეყნად არაფერი მოდის და შრომა და ვარჯიში, მეტი მონდომება მუდამ საჭიროა ყველასათვის, მით უმეტეს სპორტში. რას გვეტყვით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ, საითკენ არის ახლა მიმართული საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონებისა და მათი მწვრთნელის ლუდა ფერაძის მთავარი ყურადღება?

– ეს არის ბათუმის 23-25 ივნისის ტურნირი ევროპის თასი, რუმინეთის ევროპისა და მსოფლიო პირველობები, სადაც მონაწილე ჩემი აღსაზრდელები, იმედია, არ გაამტყუნებენ მათზე გამოცხადებულ დიდ ნდობას და სასახელო მაჩვენებლებით დაგვიბრუნდებიან საგარეჯოში.

– დმერთმა გისმინოთ!

გივი დაბახიშვილი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru